41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო სიღნაღელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი სიღნაღის მერობის კანდიდატისა და სიღნაღის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს სიღნაღის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს სიღნაღი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 2 მლნ 313 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის მდგომარეობით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 8 მლნ 127 ათას ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 5 პროექტი** (ჯამურად 5 496 260 ლარი, თანამონაწილეობა 2 403 960 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 8 პროექტი (ჯამურად 917 184 ლარი, თანამონაწილეობა 366 008 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 1 221 ჰექტარზე განხორციელდა 90 პროექტი (ჯამურად 14 431 491 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 5 516 ჰექტარი (მოსახლის ღირებულება 30 363 533 ლარი), რითაც 1 157-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 1 278 421 ლარით აუნაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით მოქმედებს 7 კოოპერატივი (55 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 277 100 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 1 259-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 156 639 972 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 20 580 990 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 11 პროექტი (ჯამურად 593 495 ლარი, თანადაფინანსება 237 398 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და შესყიდულია 2 184 178 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 1 014 301 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა (**9 პროექტი ჯამურად 2 006 355 ლარი, თანადაფინანსება 1 541 994 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (5 პროექტი ჯამურად 290 765 ლარი, თანადაფინანსება 145 383 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დახარჯულია 3 401 251 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 1 600-დან (2013 წელს) 3 290 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა, დაშრობილი ფართობი – 0-დან (2013 წელს) 1 200 ჰექტრამდე (2020 წელს). კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – სიღნაღში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 105,05 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 92,06 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, 2030 წლისთვის, წყლით უზრუნველყოფილი ფართობი 227 ათას ჰექტარს გაუთანაბრდება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 5 430 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 472 069 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 656 850 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 60 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 25, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 35 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 2 399 აბონენტი, 2013-2017 წლებში, 5 868 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
სოფელი ქვემო ბოდბე

ტურიზმის განვითარების მიზნით, ჩატარდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, ხორციელდება ტურისტული მარშრუტების კვლევა. გაიმართა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის და ჯამში გადამზადდა 800-მდე ადამიანი.

პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს, მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ამ ეტაპზე მზადდება ტყის მართვის გეგმა. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 6 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** ბიომასისა და წვრილმზომ სამასალე მერქანზე (ჭიგო, სარი, ბოძი) მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 2017-2018 წლებში, მოეწყო სწრაფმზარდი ხეების სახეობების პლანტაცია 6 ჰექტარზე. 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, სიღნაღში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 18 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 6 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ხელისუფლებამ 1,159 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, სიღნაღის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 430 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, სიღნაღის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 10 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2021-2023 წლებში მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 45 მილიონ ლარზე მეტი **დაიხარჯება. სიღნაღის მუნიციპალიტეტში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- სოფლების: ანაგის, ვაქირის, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ტიბაანის, ქვემო მაღაროს, ქვემო ბოდბის და საქობოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები – 27 000 000 ლ;
- ქ. სიღნაღის, სოფელ ნუკრიანისა და კურდღელაურის სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა – 1 122 689 ლ;
- ქ. სიღნაღის წყალმომარაგების ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 1 343 418 ლ;
- ქ. სიღნაღისა და სოფლების (ქვემო მაჩხაანი, ფანიანი, ილიაწმინდა, ხირსა, ყარაღაჯი და ხორნაბუჯი) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო/საშენებლო სამუშაოები – 6 535 917 ლ;
- სამი სოფლის (ნუკრიანი, ზემო მაღარო და ზემო ბოდბე) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება/მშენებლობისა და ქ. სიღნაღისა და ქ. დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრების შენობების რეაბილიტაციის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 6 991 649 ლ;
- ქ. სიღნაღისა და წნორის წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 1 100 000 ლ;
- ქ. წნორის მრავალბინიანი სახლების (კორპუსების) გამრიცხველიანება და წნევიანი მილდენის მოწყობის პროექტირება-მშენებლობა – 1 079.460 ლ.

წნორში გზების – სარაჯიშვილის, მოსულიშვილის, ახმეტელის და ბარათაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია დასრულდა

2021-2022 წლებისთვის, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სიღნაღი-წნორის ს/გზიდან წმ. ნინოს წყაროსთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია – 649 241 ლ;
- სოფ. ნუკრიანში, ჭოტორის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია – 1 104 915 ლ;
- სოფ. ანაგაში, მთავარანგელოზის ხევის გაწმენდა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა – 352 050 ლ;
- სოფ. ხირსაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა – 94 111 ლ;
- ქ. წნორში, სარაჯიშვილის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია – 286 884 ლ;
- ქ. წნორში, ბარათაშვილის ქ. ს/გზის რეაბილიტაცია – 294 772 ლ;
- ქ. წნორში, ახმეტელის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია – 541 959 ლ;
- ქ. წნორში, ვაჟა მოსულიშვილის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია – 341 048 ლ;
- სოფ. ძვ.ანაგაში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი – გარდამავალი) – 3 716 440 ლ;
- ქ. წნორში, ჭავჭავაძის ქუჩის ს/ გზის რეაბილიტაცია – 858 578 ლ;
- ქ. წნორში, სიხაშვილის ქუჩის ს/ გზის რეაბილიტაცია – 742 427 ლ;
- ქ. წნორში, არსენას ქუჩის ს/ გზის რეაბილიტაცია – 444 153 ლ;
- ქ. წნორში, მეგობრობის ქუჩის ს/ გზის რეაბილიტაცია – 972 968 ლ;
- სოფ. ზემო მაღაროში ცენტრალური ს/გზის რეაბილიტაცია – 409 063 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.

სოფელ ტიბაანში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფერმა ამოქმედა

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ“

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ. ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ. ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ – ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲪ ᲘᲧᲝ, ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪ. ᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲰᲞᲝᲕᲐ. ᲐᲠᲪᲗᲣ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲨᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ – ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ!

– სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ანაგაში დავიბადე. მამა, ვალიკო ბეგიაშვილი ინჟინერი იყო. სამწუხაროდ, მამა აღარ მყავს – მისი გარდაცვალებიდან, ჯერ წელიც არ გასულა... დედა, ნუნუ ბეგიაშვილი ბუღალტერია. მშობლები, წლების განმავლობაში, მეზობელ სოფელ ხირსში, საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდნენ. მამა მექანიზაციის ფარეხს ხელმძღვანელობდა, დედა კი პროფესიით მუშაობდა. ბავშვობა ლაღი და ბედნიერი იყო. ისეთი, როგორიც ზოგადად არის სოფლად. ზაფხულში ბევრი ბავშვი ჩამოდიოდა, ჩვენ უბანში 20-25-ნი მაინც ვგროვდებოდით. იყო ჟრიამული, ცელქობა, აკლებული გვქონდა იქაურობა. ის წლები დღესაც ტკბილად მახსენდება. ოჯახში რამდენიმე თაობა ერთად ვცხოვრობდით. საოცარი პაპა-ბებია მყავდა. პაპა, ლადო ბეგიაშვილი სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. ჩვენს ოჯახში სულ იყო ცხვარიც, ღორიც, ქათამიც, ინდაურიც... ანეტა ბებია კი, გულმოდგინე და კეთილშობილი ქალი გახლდათ. საოცარ პურს აკრავდა თონეში. ჩაუკმიოთო, – იტყოდა ხოლმე ბებია და მოატარებდა ნაკვერჩხალზე საკმეველს. ახლაც მახსოვს მისი, საკმევლის სურნელს შერეული თონის პურის სურნელი და გემო. თონის პირზეც იშლებოდა ხოლმე ჩვენ ოჯახში კახური სუფრა – კომბოსტოს მწნილი კახური ზეთით, ყველი, ახალი ნიგოზი და, რა თქმა უნდა, კახური ღვინო. ვენახიც გვქონდა, იქვე, სახლთან ახლოს. პაპისეული ვენახი მე და ჩემ ძმას დღესაც გვაქვს, მაგრამ დაბერდა, იმდენ ყურძენს ვეღარ ისხამს. როდესმე აუცილებლად განვაახლებთ.

– ლადო პაპას ვენახის მოვლაში შვილიშვილებიც ეხმარებოდით?

– ვეხმარებოდით, მაგრამ ამ მხრივ, ჩემი ძმა უფრო აქტიურობდა. ჩემზე სამი წლით უმცროსია. პაპასთან ძალიან დიდ დროს ატარებდა. იყო პერიოდი, ამის გამო ცოტას ვეჭვიანობდი კიდეც. შრომა არც ჩემთვის იყო უცხო. მეგობრებიც ვეხმარებოდით ერთმანეთს. ვენახშიც მიმუშავია და კოლმეურნეობის კალოებზეც იმ ასაკიდან, ნიჩბის ხმარება უკვე რომ შეგვეძლო. სხვათა შორის, ამაში ფულსაც გვიხდიდნენ. ასე ვიყიდე ფეხბურთის ახალი ბურთი და ის სიხარული დღესაც მახსოვს. ფეხბურთი ძალიან მიყვარდა, სკოლის გუნდი გვქონდა და სოფლის დონეზე, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ხოლმე. სწავლაც ძალიან მიყვარდა. ბეჯითი მოსწავლე ვიყავი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ისტორია და ისტორიული, სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურას დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი. კითხვისთვის დროს დღესაც გამოვნახავ ხოლმე.

– ისტორია თუ ასე მოგწონდათ, სამშენებლო და შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტებზე რატომ ჩააბარეთ?

– პროფესიის არჩევისას ალბათ კონიუნქტურის გავლენამ იმოქმედა. სხვათა შორის, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სამშენებლო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ხირსის სკოლაში მასწავლებლად ვიმუშავე. პატარა სოფლის სკოლაში, სადაც მხოლოდ 8 კლასამდე ისწავლებოდა, ხაზვას ვასწავლიდი. სულ 5 მოსწავლე მყავდა. ბავშვებთან ურთიერთობა მომწონდა. ვერ ვიტყვი, რომ იმ მოკლე დროში მათ ხაზვა ძალიან კარგად ვასწავლე, მაგრამ მიხარია, რომ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც ვუზიარებდი. ალბათ ცუდად არ გამომდიოდა, რადგან რომელიმე საგანი როცა უცდებოდათ, ჩემ გაკვეთილზე სხვა კლასების მოსწავლეებიც შემოდიოდნენ. მასწავლებლად, ფაქტობრივად, ერთი ზამთარი ვიმუშავე. შეიძლება ითქვას, ხირსის სკოლის სამასწავლებლოში, შეშის ღუმელთან გამოვიზამთრე. ცივ, სუსხიან, თოვლიან ამინდში, სკოლამდე 5-6 კილომეტრს ფეხით გავდიოდი. იმ ასაკში, ეს ცოტა რომანტიკულიც იყო, მაგრამ გულმა უფრო მეტი აქტიურობისკენ გამიწია და სამსახურიდან წამოვედი.

- წამოხვედით და პირდაპირ პარლამენტში აღმოჩნდით. პოლიტიკურად რატომ გააქტიურდით?

– პარლამენტამდე, ახალშექმნილი მოქალაქეთა კავშირის რეგიონული დეპარტამენტის კახეთი კურატორი ვიყავი. ეს ის პერიოდია, მოქალაქეთა კავშირი რომ დაფუძნდა და ზურაბ ჟვანია რომ აირჩიეს გენერალურ მდივნად. ზურაბ ჟვანიას კარგად ვიცნობდი. უნიჭიერესი ადამიანი იყო და ზოგჯერ ვამბობ კიდეც, რომ მისი აზროვნების დიაპაზონი, მასშტაბით, მგონი, პლანეტას ცდებოდა. ყოველთვის ედო ჯიბეში ხატი და კაბინეტში, უკანა ოთახში, აუცილებლად ჰქონდა ხატების კუთხე, სადაც ყოველთვის ენთო კანდელი... ძალიან ბევრი სირთულე გავიარეთ. „მხედრიონი“, არეულობა... არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დამნიშნეს რეგიონული დეპარტამენტის ხელმძღვანელად. პარტიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. მაშინ საოცარი შემართება გვქონდა. გულწრფელად მჯეროდა და არ მინდა, როდესმე სხვანაირად ვიფიქრო, რომ ის წლები იყო განსაკუთრებული. ეს იყო ახალი ქვეყნის შენების, სიახლის ძებნის, დიდი ენთუზიაზმის წლები.

– „ახალი სიღნაღის“ შენებაში წვლილის შეტანის შანსი თუ მოგეცათ იმ მოკლე დროში, როცა 1999-2001 წლებში სიღნაღის გამგებლად დაგნიშნეს?

– ეს თანამდებობა ორ წელში დავტოვე, საკუთარი სურვილით. მაშინდელი სახელწიფო იყო სუსტი, რასაც ბევრი გარემოება უწყობდა ხელს და იმ პირობებში მე შეუძლებლად მივიჩნიე, მცირე თუ დიდი გეგმების განხორციელების შესაძლებლობა. ზოგადად, ბუნებით ვარ ასეთი, ყოველთვის ვტოვებ იმ ადგილს, სადაც ჩემი რესურსი ამოწურულია.

– მოგვიანებით, ამავე მიზეზით დატოვეთ ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა?

– ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის დროს ვიყავი. სამინისტროში ადმინისტრაციას ვკურირებდი. თავიდან არაერთი ცვლილება განვახორციელეთ; სახელფასო ბადეები შეიცვალა, სამინისტროსა და სხვადასხვა უწყების რეორგანიზაცია, ოპტიმიზაცია მოხდა. უმნიშვნელოვანესი იყო ცვლილებები საბაჟოსა და საგადასახადოს მიმართულებით, შემოვიღეთ ერთი ფანჯრის პრინციპი და ა. შ. თანამდებობა დავტოვე 2007 წელს, მინისტრის ცვლილებასთან ერთად მოხდა ჩემი ცვლილებაც. აღარც მიცდია საჯარო სამსახურში საქმიანობის გაგრძელება. 2006 წლიდან თანდათან რთული ხდებოდა სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა ჩემნაირი ადამიანებისთვის, რთული და სახიფათო... წამოვედი პირდაპირ ვენახში – ჩემ საოჯახო მეურნეობას მივხედე. ეს საქმე საოცარ სიამოვნებას მანიჭებს. თუ ადამიანს სურს ცხოვრების საზრისს ჩაწვდეს, მიხვდეს, რისთვის არის მოსული წუთისოფელში, ბუნებასთან ახლოს უნდა იყოს, ყოველგვარი შუამავლის გარეშე. როცა დაინახავ, დილას როგორ ამოდის მზე, როგორ იღვიძებს ბუნება, როგორ იშლება ყვავილი, როგორ იცვლება ფერთა პალიტრა, როცა მიხვდები რა დიდია შემოქმედი და მისი შემოქმედება ამ სამყაროში, საოცარ სიმშვიდეს მოიპოვებ.

– ასეთი სიმშვიდე თუ მოიპოვეთ, პოლიტიკაში, მერიაში რატომ მობრუნდით ან ახლა რატომ გადაწყვიტეთ სიღნაღის მერობისთვის ბრძოლა?

– როგორც გიამბეთ, ძალიან ბევრმა პროცესმა გაიარა ჩემ თვალწინ, ზოგჯერ – ჩემ კისერზეც. ვნახე ნგრევაც, შენებაც, კრიზისიც...ბოლო წლებში ხშირად მიხდებოდა შეხვედრა ხელი-

დაიბადა 1969 წლის 24 ივნისს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ანაგაში. მშობლიურ სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა.

1986-1993 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ტექნიკური უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ, 1995-1997 წლებში დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი; 1995-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწედ რეგიონულ საკითხებში; 1988-1999 წლებში კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში დაინიშნა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილედ; 1999-2001 წლებში იყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2001-2003 წლებში – პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე; 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული მართვისა და პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარედ; 2004 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად; 2004-2007 წლებში მოღვაწეობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილედ; 2007-დან 2008 წლამდე საქმიანობდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, მრჩევლის სტატუსით; 2008-2019 წლებში ეწეოდა კერძო საქმიანობას; 2019 წლიდან დღემდე კი გახლავთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში დასაქმებულ ჩემს მეგობრებთან და მათგან ვიგებდი, რომ საქართველოს რეგიონებისა და მათ შორის სიღნაღის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის დიდი რესურსების მობილიზება ხდებოდა, და ვიფიქრე, იქნებ ჯობია, ჩავერთო მეც ამ პროცესში, ჩემი გამოცდილება, ცოდნა, ჩემ მუნიციპალიტეტს მოვახმარო და მის განვითარებაში წვლილი მეც შევიტანო-მეთქი. ჩავთვალე, რომ ეს ჩემი მეორე შესაძლებლობა იყო. იმისთვის, რომ რამე გავაკეთო ჩემი სიღნაღისთვის.

– და რის გაკეთებას გეგმავთ, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა?

– სიღნაღის მერის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას ვკურირებდი ეკონომიკას, ინფრასტრუქტურასა და ფინანსებს. შესაბამისად, კარგად ვიცი, რომ ცენტრალური ხელისუფლება იძლევა დიდ შესაძლებლობას, მუნიციპალიტეტში ბევრი კარგი რამ გაკეთდეს, იქნება ეს ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია, განახლება, ურბანული განვითარება. მთავარია, მუნიციპალიტეტის მერიაში იყვნენ კარგი მენეჯერები, გამოცდილების მქონე ადამიანები, რომლებსაც ექნებათ სწორი ხედვა და პროცესებს, ადგილობრივ დონეზე, სწორად წარმართავენ. ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერის ახალი ინიციატივა „განახლებული რეგიონები“, რომლის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება მოხდება. იყო დრო, როცა რესურსი და შესაძლებლობა არ იყო. ახლა ვითარება შეცვლილია. ახლა ყველამ უნდა დავიკაპიწოთ ხელები, ვისაც რა შეუძლია, ვისაც რა გამოცდილება დაუგროვდა, მოახმაროს ქვეყნის განვითარებას. ახლა სხვა არაფრის დრო არაა! ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა, სტაბილურობა, ვიაროთ წინ და გონივრულად სწრაფად! 30-მა წელმა გაიარა ერთმანეთის ქიშპობაში და დაპირისპირებაში. დღეს ყველამ კეთილი უნდა ინებოს და სადაც რის გაკეთება შეუძლია, გააკეთოს. არც ზედმეტად ამბიციურად მინდა გამომივიდეს და არც ზედმეტი თავმდაბლობით, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, მართლა დამიგროვდა ისეთი გამოცდილება, რომ ვიყო კარგი მერი და ჩემ მუნიციპალიტეტს ღირსეულად, წარმატებულად ვემსახურო. ფაქტობრივად, მერიაში მუშაობით, ამას ბოლო წლებში უკვე ვაკეთებ. როცა მუშაობა დავიწყე, პრიორიტეტები დავსახეთ და მას მივყევით. მაგალითად, ვთქვით, რომ ქიზიყში, რომელიც არის ძალიან გვალვიანი, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარეგანათების, სკვერების მოწყობის გარდა, აუცილებელი იყო წყალმომარაგების საკითხის მოგვარება. ცენტრალურმა ხელისუფლების მხარდაჭერით დავიწყეთ ეპოქალური პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ, ყველა სოფელს ექნება ხარისხიანი სასმელი წყალი. ამ პროექტის შემდეგ დავიწყებთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას. უკვე ასე მოხდა, მაგალითად წნორში – შარშან წყლის სისტემების მოწესრიგება დასრულდა, დღეს კი, გზის მოასფალტება ინტენსიურად მიმდინარეობს. მერის საქმე სიღნაღელების კონკრეტული საჭიროებების, ისეთი გარემოს შექმნაა, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობენ და ექნებათ იმის რწმენა, სიხარული, რომ თავიანთი პირადი საქმეები, მეტი ხალისითა და მეტი წარმატებით დაგეგმონ. ვგულისხმობ იმას, რომ ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს გაზი, ელექტროენერგია, განათება, მოწესრიგებული სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც ბავშვებს განვითარების ყველა პირობა ექნებათ, სკოლა, სადაც მოსწავლეები კარგ განათლებას მიიღებენ, კარგი ამბულატორია... ასევე, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მხარდაჭერა. ექვს სოფელში ვგეგმავთ ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობას, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავიანთ სამომავლო გეგმებზე იმსჯელებენ...

მინდა, გითხრათ, რომ ზოგადად, ყველა მიმართულებით, ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს დგამს. როგორც მოგახსენეთ, მეც ამიტომ ვარ ამ გუნდის წევრი. იმის გარდა, რაზეც უკვე ვისაუბრე, მინდა, მოვაწყოთ სპორტული მოედნები, სოფლებში – თავშეყრის ადგილები. მინდა, უფრო მეტად განვითარდეს სოფლის მეურნეობა. ძალიან კარგი მაჟორიტარი დეპუტატი გვყავს, რომელთანაც ვთანამშრომლობთ და იმედი მაქვს, ცენტრალური ხელისუფლებაც იქნება ჩვენი ინიციატივების მხარდამჭერი. ვიცი, ხელისუფლების წარმომადგენლების განწყობა. რომ ვფიქრობდე, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების სურვილი და პოლიტიკური ნება არ არის, ამ პოლიტიკურ ბრძოლაში არც ჩავერთვებოდი. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ გუნდი საქართველოს და ჩემი მიკროსამშობლოს – სიღნაღის განვითარებისთვის, შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებს.

– ზოგადად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში რამდენად აქტიური ახალგაზრდობაა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის აქამდე თუ იყო მათი ხელშეწყობა პრიორიტეტი?

– რა თქმა უნდა, იყო. მუნიციპალიტეტში ძალიან აქტიური და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან და მათგან არაერთი ინიციატივა მოდის. მაგალითად, ქ. წნორში „ცოდნის კაფე“, რომლითაც ასე ვამაყობთ, ახალგაზრდების წამოწყებულია, შექმნილია და განვითარებულია, ასევე სხვადასხვა მიმართულებით აქტიურობენ ბოდბისა და მაღაროს ახალგაზრდები, ქალაქ სიღნაღშია ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტების ძალიან საინტერესო და მისაბაძი ჯგუფი, ძველი ანაგის, ვაქირისა და ანაგის სკოლების უფროსკლასელები გამოირჩევიან აქტიურობით და ა. შ...ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველა სოფელში ჩვენ გვყავს საოცარი, ნიჭიერი და კარგი ახალგაზრდები, რომლებთანაც ურთიერთობა და მუშაობა ერთი დიდი სიამოვნებაა. ესენი არიან ჩვენი პრიორიტეტი და მათ ექნებათ ჩვენი ხელშეწყობაც...

– ეს კარგია, მაგრამ პანდემიამ განსაკუთრებით ამ სფეროს განვითარებას შეუწყო ხელი. რა რეალობის წინაშე დააყენა სიღნაღი კოვიდ 19-მა და რამდენად ეფექტური იყო მუნიციპალიტეტში მისი მართვა?

– პანდემია ყველაზე რთულად, ალბათ სიღნაღზე აისახა – ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა და ამ სახის შემოსავლის გარეშე პროცენტულად მეტი ადამიანი დარჩა, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტში. ზაფხულის ბოლოს, ტურიზმმა ნელ-ნელა ისევ აკრიბა ტემპი და დარწმუნებული ვარ, პანდემიის შემდეგ, ეს მიმართულება, კიდევ უფრო განვითარდება. რაც შეეხება პანდემიის მართვას, ამ პროცესში მერიის სამსახურები აქტიურად იყვნენ ჩართული. თითოეული სოფლის მაცხოვრებლებთან მუდმივი კონტაქტი გვქონდა. მაქსიმალურად ვაქცევდით ყურადღებას. არაერთი ჰუმანიტარული აქცია ჩავატარეთ, სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიანებს, მარტოხელა პენსიონერებს დავეხმარეთ. შემდეგ ვაქცინაციის პროცესშიც ჩავერთეთ. მოქალაქეებთან შეხვედრისას, კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის აუცილებლობაზე ვსაუბრობდით და დღესაც ვსაუბრობთ, საჭიროების შემთხვევაში დარეგისტრირებაშიც ვეხმარებით.

– გამარჯვებაშიც დარწმუნებული ხართ?

– დიახ, ვფიქრობ, 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, სიღნაღელები არჩევანს ჩემ სასარგებლოდ გააკეთებენ.

არშემდგარი მხატვრის პოლიტიკური მისია და ბედნიერი ოჯახი

მალხაზ ბეგიაშვილის მეუღლე, ნათია სპანდერაშვილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოდანაა. ერთმანეთი სწორედ ამ სოფელში გაიცნეს. ქალბატონი ნათია ფინანსისტია და კერძო კომპანიაში მუშაობს.

წყვილს სამი შვილი ჰყავს: მარიამი, ლაზარე და მართა. მარიამმა სკოლა წელს დაამთავრა და ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა; 16 წლის ლაზარე კომაროვის სახელობის სკოლაში სწავლობს, ნაბოლარა მართა კი, ჯერ მხოლოდ 10 წლისაა და აქსესუარების შექმნითაა გატაცებული. მამიკოსაც გაუკეთა ფერადი სამაჯური, რომელიც კანდიდატს ყოველთვის უმშვენებს მაჯას. თილისმასავითაა მართას სამაჯური და გოგონაც მუდმივად აკონტროლებს, რომ არ მოიხსნას – შინ შესულ მამას, ინსტინქტურად, პირველ რიგში ხელზე აკვირდება. მამა კი, მართას გატაცებას აკვირდება – კარგად უხამებს პატარა მართა ფერებს და მამას არაფერი უნდა გამოეპაროს, ნიჭი რადგან აქვს, შვილს ამ მიმართულებით განვითარების საშუალება უნდა მისცეს. ეს იმიტომ, რომ საკუთარ თავზე გამოსცადა „ჩაკლული ნიჭიერება“ – არშემდგარი მხატვარია. ბავშვობაში, სტუდენტობაშიც, ბევრი დღე გაატარა ფურცლითა და ფანქრით ან კალმით ხელში. სიღნაღში სხვანაირად არც შეიძლება – დღის განმავლობაში ერთი და იგივე ადგილიდან, თვალწინ იმდენჯერ გადაგეშლება სხვადასხვა ფერთა გამით 7-8 განსხვავებული პეიზაჟი, შეუძლებელია ხატვის სურვილი არ გაგიჩნდესო, – ამბობს.

ბუნებისმოყვარე ლადო პაპას შთამომავლებს, ცხოველებისა და ფრინველების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. თუთიყუში „კარელა“, ლურჯი თევზი „ლილუ“, ზაზუნები, რომლებიც ბოლოს 24-მდე გამრავლდნენ... – ეს, სხვადასხვა დროს, ბეგიაშვილების ოჯახის „საპატიო წევრების“ ჩამონათვალია. დღეს მხოლოდ 3 ზაზუნა და ერთი ძაღლი ჰყავთ – როტვეილერი, მორგანი, 10 თვისაა. მასზე მზრუნველობა სრულად აქვს აღებული ლაზარეს. უვლის და დილა-საღამოს ასეირნებს. დილას – მოკლე მანძილზე, საღამოობით კი, კილომეტრებს გადიან ერთად. კანდიდატი გამოგვიტყდა, რომ მორგანი ლაზარეს დიდ სამსახურს უწევს – „აიძულებს“ ფიზიკურ აქტივობას. ერთხელ, როცა ქანცგაცლილი ლაზარე და მორგანი შინ დაბრუნდნენ, ბატონი მალხაზი შვილს გაეხუმრა – ეს ძაღლი რომ არა, ვინ გაიძულებდა ყოველ საღამოს ამხელა გზა გაგევლოო. „მე რა მიჭირს, ეს ძაღლი, მთელ ჩემს სამეგობროს „აიძულებს“ იარონ, ყოველ საღამოს მომყვებიან სასეირნოდ“, – გაეცინა ლაზარეს.

თავად კანდიდატი დღეს ვეღარც ხატვისთვის იცლის, ვეღარც სპორტული აქტივობებისთვის. ვენახში ვვარჯიშობო, – ხუმრობს. მისი დილა შრომით იწყება – სამსახურში წასვლამდე ვაზს უნდა მიხედოს. ეს არც წინასაარჩევნო კამპანიის დროს შეცვლილა და არც არჩევნების შემდეგ შეიცვლება. შრომა და როგორც თავად ამბობს, შუამავლის გარეშე ბუნებასთან სიახლოვე იმისთვისაცაა საჭირო, რომ ჩაწვდე, რა მისიით ხარ მოსული დედამიწაზე. ფიქრობს, რომ დღეს მისი მისია თავისი პატარა სამშობლოს – სიღნაღის განვითარებაში წვლილის შეტანაა. სურს, საყვარელ სიღნაღელებს ისე ემსახუროს, წლების შემდეგ, ღვთისა და ხალხის წინაშე გულმართალი და პირნათელი დარჩეს. მხოლოდ ასე და ამის შემდეგ შეძლებს, მშვიდად იცხოვროს სიღნაღში, იქ, სადაც სიბერე უნდა გაატაროს.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **სიღნაღის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 42 754 347 მილიონი ლარი, დაფინანსდა 70 826 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 014 720 ლარით 145 320 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 546 890 ლარით 35 928 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (29 292 224 ლარით 21 440 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 172 515 ლარით 6 559 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 522 341 ლარით 2549 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 730 341 ლარით 3408 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **სიღნაღის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 4 173 ბენეფიციარი (446 109 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **სიღნაღის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 98,7% შეადგენს. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **სიღნაღში,** სტაციონარული მკურნალობით 124-მა (340 462 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 999-მა პაციენტმა (116 568 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 3 882 ორსული (208 626 ლ), მედიკამენტებით – უზრუნველყოფილი 820.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 468 პირი (99 579 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **სიღნაღის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **სიღნაღის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, სულ 647 შემთხვევა 2 244 745 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **სიღნაღის მუნიციპალიტეტს 54 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: მაჩხაანი (5 000 ლ), ხორნაბუჯი (5 740 ლ), საქობო (43 942 ლ), ერისიმედი (5 605 ლ), ხირსა (25 948 ლ), ქვემო ბოდბე (7 512 ლ), ძველი ანაგა (16 701 ლ); ქ. სიღნაღში, სასწრაფო დახმარების ოთახის რეაბილიტაცია (20 000 ლ). ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ილიაწმინდა (47 563 ლ) და ქვემო მაჩხაანი (49 053 ლ); ქ. წნორი, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი ტიპური შენობის მშენებლობა (341 367 ლ).

2013 წელთან შედარებით, **5,7-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 299,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 53,0 ათასი ლ). საგარეჯოში, 2012 წლიდან დღემდე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება ჯანდაცვის 7 მუნიციპალური პროგრამა.

მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2021 წლებში ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, მალარიის სახელმწიფო პროგრამა, სანიტარული კონტროლი და ჰელმინთებზე კვლევა სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და ა.შ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

სოფ. საქობოს ამბულატორია

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **სიღნაღის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 8122 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2.1-ჯერ – 10 557 248-დან 22 215 884 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში, სულ 143 822 170 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **სიღნაღში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 75 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3-ჯერ – 127 219-დან 394 303 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 847 893 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 1343 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ,). 2012 წლის შემდეგ, 1,7-ჯერ – 1 622 ათასიდან 2770 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 24 844 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 8 010 ათასი, შშმ პირებზე – 1 879 ათასი, ბავშვებზე – 7 821 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **სიღნაღში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1218 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,3-ჯერ – 325 470-დან 2 120 513 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 13 665 632 ლარი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში 106 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 35 722 ლარიდან 57 555 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 425 857 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან სიღნაღის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 16 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 15 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 1 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **სიღნაღში,** დაფინანსებულია 169 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 634 380 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 280 750 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **სიღნაღის მუნიციპალიტეტზე** – 2 070 480 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 1 121 ოჯახი, 2021 წელს – 1 225. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 192-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 213-მა ოჯახმა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – მუნიციპალიტეტში, პროგრამაში, 2020 წ. ჩაერთო 719 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 366 პირი.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო საგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 751,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 436,5 ათასი ლ).

2012 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სოციალური დახმარების 14 მუნიციპალური პროგრამა, მათ შორის: ავადმყოფთა სოციალური დაცვა, შშმ პირთა დახმარების პროგრამა, ხანძრების და სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალისთვის ქვეპროგრამა, სიღნაღში მაცხოვრებელი იძულებით გადაადგილებული პირების დახმარება, მარტოხელა მშობლის დახმარება, ახალშობილთა დახმარება, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან სტუდენტთა დაფინანსება, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

სიღნაღში ფუნქციონირებს 24 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 ქალაქში, ხოლო 22 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სიღნაღში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 444,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 707,7 ათასი – სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 542 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს. მათ შორის:

2013-2016 წლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს მაღაროში, საქობოში, ბოდბეში, ნუკრიანში, ვაქირში, ილიაწმინდაში, მაჩხაანში, ქვემო მაჩხაანსა და ანაგაში; **2015 წელს –** განხორციელდა სოფელ საქობოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (85 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); **2016 წელს –** ჯუგაანში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი (340 ათასი ლარი, რეგიონული განითარების ფონდი) ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე, სულ – სულ 888,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** საბავშვო ბაღი აშენდა სოფ. ბოდბისხევში (367,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ნუკრიანის საბავშვო ბაღს (15,1 ათასი ლარი); განხორციელდა წნორის, ძველი ანაგის, ქვემო ბოდბის, ერისიმედის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (ჯამში – 55 ათასი ლარი). **2018 წელს –** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მშენებლობა-რეაბილიტაციის 19 პროექტი განხორციელდა. სოფელ ბოდბეში (თოღლაანის უბანში) აშენდა საბავშვო ბაღის ახალი შენობა (527 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ვაქირის და ზემო ბოდბის საბავშვო ბაღებში (10 ათასი ლარი). **2013-2018 წლებში –** საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის შეძენილია 48,9 ათასი ლარის ღირებულების ავეჯი. ამასთან, სამზარეულოები აღიჭურვა მაცივრებით, გამწოვებითა და სხვადასხვა ელექტროტექნიკით (33, 7 ათასი ლარი). **2019 წელს** 9 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ეზოს სათამაშოები; სოფელ ერისიმედის საბავშვო ბაღში განხორციელდა პროგრამა – „ეკოენერგია ერისიმედის ბავშვებს“ . ქ. სიღნაღის საბავშვო ბაღის №1 ფილიალში განხორციელდა გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (10 ათასი ლარი); სოფ. ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში მოეწყო ატრაქციონები (4,7 ათასი ლარი); კეთილმოეწყო წნორისა და სოფ. საქობოს საბავშვო ბაღების ეზოები (9,2 ათასი ლარი).

2020 წელს სოფელ ქვემო ბოდბეში აშენდა 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი, რაზეც 1 მლნ 100 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილების რეაბილიტაცია განხორციელდა: სოფ. ნუკრიანის №18 და №20 (22 ათასი ლარი), სოფ. ხირსის (5 ათასი ლარი), ქ. სიღნაღის (9 000 ლარი) საბავშვო ბაღებში. **2021 წელს** საბავშვო ბაღებში

შევიდა სამფაზა დენი, შეიძინეს ელექტროღუმელები.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტები სოფ. საქობოში (85 ათასი ლარი), საბავშვო ბაღები აშენდა სოფ. ჯუგაანში (340 ათასი ლარი), ბოდბისხევსა (367,5 ათასი ლარი) და ქვემო ბოდბეში, თოღლაანის უბანში (527 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1110 აღსაზრდელი ირიცხება. საბავშვო ბაღებში **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 1,01-დან 4,2 ლარამდე გაიზარდა.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 24 საბავშვო ბაღის 18 ჯგუფში, სადაც 342 ბავშვია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 66 აღმზრდელი და 54 აღმზრდელის თანაშემწე. **აღმზრდელთა ხელფასები 2012 წლის 110 ლარიდან 355 ლარამდე გაიზარდა.** საბავშვო ბაღებს 25 ექთანი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20 საჯარო სკოლა (აქედან ქალაქში – 3, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში -3). სკოლებში 3177 მოსწავლე (258 – მაღალმთიან სოფელში), 515 მასწავლებელი (მათ შორის 73 – მაღალმთიან სოფელში) და 20 – სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 85 სსსმ მოსწავლე. სიღნაღის საჯარო სკოლებს 7 ექიმი ემსახურება.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2017– 2018 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით** სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას გადაეცა 12 კომპიუტერი. 2013-2020 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით სკოლებში 44 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2020 წლებში კი ფინანსურად ხელი 84 პროექტის განხორციელებას შეეწყო.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, 2019 წელს, სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას – 20 ლეპტოპი გადაეცა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 36 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 5 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 1 საჯარო სკოლა აღიჭურვა. „ახალი სკოლის“ მოდელი დაინერგა სიღნაღის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში, 2021 წელს კი, დამატებით, 6 საჯარო სკოლაში.

2015-2019 წლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 37 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით ისარგებლა 18 საჯარო სკოლის (41 მიმართულება) 722-მა მოსწავლემ (2018-2019 ს/წ I სემესტრი). 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს უსასყიდლოდ გადაეცა, ჯამში, 875 **სასკოლო ჟურნალი** და 81177 **სახელმძღვანელო**. 2013-2019 წლებში, 1865 კომპიუტერი საჩუქრად გადაეცათ პირველკლასელებს, 126 – კლასის დამრიგებლებს, ლეპტოპებით დასაჩუქრდა 248 წარჩინებული მოსწავლე. 2013-2019 წლეში, სიღნაღის საჯარო სკოლებში, ჯამში, 385 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 32 პროექტი განხორციელდა, ადაპტირებულია 15 საჯარო სკოლა. ცენტრალური გათბობით აღჭურვილია 11, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 1 საჯარო სკოლაა ჩართული.

2013 წელს განხორციელდა 8 სკოლის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 589,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სკოლას (74,7 ათასი ლარი). **2015 წელს** განხორციელდა 8 სკოლის რეაბილიტაცია, რასაც სულ 394,9 ათასი ლარი მოხმარდა. **2017 წელს** შიდასასკოლო ხარჯებით, თითქმის ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. 4 სკოლაში (ბოდბისხევის, წნორის №3, სიღნაღისა და მაღაროს) მოეწყო სამედიცინო ოთახი. **2018 წელს** დაფინანსდა მაღაროს, ანაგის, ტიბაანის და ერისიმედის საჯარო სკოლები სხვადასხვა სახის ინფრსატრუქტურული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით (ჯამურად 31 ათასი ლარი).

2019 წელს, MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, დასრულდა სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 342, 5 ათასი ლარი. **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი, მათ შორის: ქალაქ სიღნაღის, ანაგის, ქვემო ბოდბის, ერისიმედის, ვაქირის, ილიაწმინდის, ქვ. მაღაროს, ნუკრიანის №1, ნუკრიანის №2, საქობოს, წნორის №1, წნორის №3, ხირსის საჯარო სკოლებში. ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 444,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2020 წელს დასრულდა ახალი სკოლების **მშენებლობა** სოფელ ბოდბესა (1 მლნ 809,9 ათასი ლარი) და სოფელ მაშნაარში (1 მლნ 682 ათასი ლარი). სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. ასევე, განხორციელდა სოფელ ანაგის საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაცია (23,7 ათასი ლარი), ვაქირის სკოლის რეაბილიტაციას კი 207 ათასი ლარი მოხმარდა. სველი წერტილების რეაბილიტაცია განხორციელდა წნორის №2, ხირსის, ხორნაბუჯის, ძველი ანაგის, ზემო ბოდბის №23 საჯარო სკოლებში (ჯამში, 43,6 ათასი ლარი). განხორციელდა ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 225 ათასი ლარი მოხმარდა.

2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 8 პროექტი, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 516,6 ათასი ლარით დაფინანსდა. სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა სოფელ ხორნაბუჯის, ქალაქ სიღნაღის, ვაქირის, ხირსის, წნორის №1, მაჩხაანის, ანაგის საჯარო სკოლებში.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს: სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (2 მლნ 944 ათასი ლარი); სოფელ საქობოს, 90 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის (მაშნაარის სასწავლო კორპუსი) პროექტირება/მშენებლობა (1 მლნ 682 ათასი ლარი); ქვემო მაჩხაანის, 90 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (1 მლნ 848,2 ათასი ლარი).

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- **გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, 2021-2025 წლებში დაგეგმილია:** სოფელ ძველ ანაგაში 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის (№16) მშენებლობა – 1 მლნ 100 ათასი ლარი; ახალი ბაღების მშენებლობა წნორსა (№2) და ვაქირში (№6). ასევე, აშენდება ტიბაანის №12, ბოდბის №25 და ნუკრიანის №18 საბავშვო ბაღები, დაიგეგმება ილიაწმინდის №22, ნუკრიანის №20, ხირსის №26 ბაღებისთვის ახალი შენობების აშენება;
- 10 საბავშვო ბაღში დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა;
- იგეგმება საბავშვო ბაღებში ეზოს სათამაშოების დამონტაჟება და ძველის ახლით შეცვლა;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება სიღნაღში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- დასრულდება სოფელ კაბალში, 300 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) – 4 მლნ 152 ათასი ლარი;
- 2021 წელს **ინფრასტრუქტურის** სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის სიღნაღის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (60,5 ათასი ლარი);
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობასამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: სიღნაღის საქალაქო ბიბლიოთეკა; სიღნაღის საბავშვო ბიბლიოთეკა; ბიბლიოთეკები: წნორსა და სოფლებში (ანაგა, ვაქირი, ჯუგაანი, ძვ. ანაგა, ყარაღაჯი, ხირსა, ერისიმედი, კალოები, ილიაწმინდა, საქობაო, ბოდბისხევი, ტიბაანი, მაჩხაანი, ნუკრიანი, ზემო ბოდბე, ქვემო ბოდბე, მაღარო); სსიპ საქრთველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმი, ს. მირიანაშვილის მუზეუმი; ვ. სარაჯიშვილის მუზეუმი; ირ.ევდოშვილის სახლ-მუზეუმი; ი. მოსაშვილის სახლ-მუზეუმი; ალ. გზირიშვილის სახლ-მუზეუმი; ს. შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი (მისი მუშაობა დროებით შეჩერებულია შენობის ავარიული მდგომარეობის გამო); ფ. მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი; ს.ახმეტელის მუზეუმი; ვ.გოძიაშვილის მუზეუმი; ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი; სიღნაღის თეატრი; წნორის, საქობოს, ვაქირის, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ძველი ანაგის, ქვემო მაჩხაანის, ქვემო ბოდბის, მაღაროს, ილიაწმინდას, ერისიმედის კულტურის სახლები; მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ანსამბლი „მრავალჟამიერი“, ფოლკლორული ანსამბლი „ქიზიყელები“, ქორეოგრაფიული ანსამბლები „ათინათი“, „ლაშქრული“, „ვაქირელები” და „ქიზიყი“; სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანება.

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს **კულტურის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 723,5 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 317 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. ტარდება ინტელექტუალური შემეცნებითი ღონისძიება ,,რა? სად? როდის?", ,,წიგნის თარო", საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, ახალი წიგნების პრეზენტაციები და მწერლებისა და პოეტების საიუბილეო წლებისადმი მიძღვნილი შეხვედრები, აღინიშნება ტრადიციული და ღირსშესანიშნავი დღესასწაულები, იმართება სპექტაკლები, კონცერტები, მათ შორის – საქველმოქმედო კონცერტები (როგორც ადგილზე, ისე გასვლით – მოხუცთა თავშესაფრებში, ასევე უნარშეზღუდულ, სოციალურად დაუცველ თუ სხვა კატეგორიის მსმენელთათვის) და სხვა კულტურული ღონისძიებები. სოფლის ბიბლიოთეკებში განხორციელდა პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რამაც ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას შეუწყო ხელი.

ყოველ წელს ტარდება შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო საღამო, ქართული თატრის დღე, 3 მარტი დედის დღე, 8 მარტი – ქალთა დღე, 9 აპრილი – დამოუკიდებლობის დღე, 15 აპრილი – სიყვარული დღე, 9 მაისი – მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე, 18 მაისი – ეროვნული სამოსის დღე, 26 მაისი – დამოუკიდებლობის დღე, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, დებატები, ახალგაზრდული ფესტივალი, ჯაზის ფესტივალი, შეხვედრა მწერალთან, შეხვედრა კომპოზიტორთან. 2018 წელს კულტურის მიმართულების სხვადასხვა ღონისძიებაზე 35,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

ᲑᲝᲓᲑᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛᲘᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ

2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:

2014-2018 წლებში – წნორის სამუსიკო სკოლის რემონტი და გაზიფიცირება, სიღნაღის მუზეუმის ფერდობზე გამწვანების საფუძვლის მოწყობა, გამწვანების სამუშაოები, მუზეუმის ფერდობზე გრუნტის შეტანა, მიმდებარე კედლების რეაბილიტაცია, მუსიკალური სკოლისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 137,3 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე:

2016 წელს – სოფ. ბოდბისხევში მუზეუმის შენობის ნაწილობრივ რეაბილიტაციას 17,6 ათასი ლარი მოხმარდა, ბიბლიოთეკის ნაწილობრივი რეაბილიტაციაზე კი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 19, 1 ათასი ლარი დაიხარჯა. გარემონტდა წნორის სამუსიკო სკოლა (118,1 ათასი ლარი).

2017 წელს – სოფ. ვაქირის ახალგაზრდული სახლის რეაბილიტაცია 80,1 ათასი ლარით დაფინანსდა რეგიონული განვითარების ფონდიდან; ვანო სარაჯიშვილის მუზეუმის რეაბილიტაციაზე 55,5 ათასი ლარი დაიხარჯა; განხორციელდა ააიპ სამუსიკო და სახელოვნები სკოლების გაერთიანების შენობის ყველა ოთახისა და ათწლედის ერთი ოთახის რეაბილიტაცია (21, 1 ათასი ლარი); სოფელ ვაქირში ახალგაზრდული სახლის რეაბილიტაციაზე 80 ათასი ლარი დაიხარჯა. „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის“ ფონდის დაფინანსებით, 2017 წელს, განხორციელდა ზემო მაჩხაანის ნაეკლესიარის კონსერვაცია და დამცავი ღობის მოწყობა (20 ათასი ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა ირო-დიონ ევდოშვილის მუზეუმს, რასაც 29,5 ათასი ლარი მოხმარდა.

2019 წელს ქ. სიღნაღის ბიბლიოთეკის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 96,3 ათასი ლარი დაიხარჯა; სოფ. ბოდბეში აშენდა ახალგაზრდული ცენტრი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 390,2 ათასი ლარით დაფინანსდა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში შემდეგი პროექტები განახორციელდა: რეგიონული გამოფენა (2,9 ათასი ლარი, 2013 წ.); ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი (17,4 ათასი ლარი, 2014 წ.); სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის 6 კონცერტი საქართველოს რეგიონებში, მათ შორის – ქვემო მაჩხაანში (სულ დაიხარჯა 24 ათასი ლარი, 2015 წ.).

ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჩართულობით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:

2017 წელს – წმინდა სტეფანე ხირსელის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური გადაღება და საბაზისო-საყრდენი დოკუმენტაციის მომზადება.

2018 წელი – სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის 3D ლაზერული სკანირება და აზომვითი დოკუმენტაციის შედგენა; სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციია მომზადება.

2019 წელი – სოფელი ტიბაანი, ხირსის წმინდა სტეფანეს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ეკლესიის კონსერვაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2019 წელს, საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სიღნაღის მუნიციპალიტეტში, **კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით,** განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „ციხე-სიმაგრეები მომავლის მცველები“ (16,2 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი – „იტერ ვიტისი-ღვინის გზა“ და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი „ალ. დიუმას კვალდაკვალ“, რომელიც, თავის მხრივ, ადგილობრივი კულტურული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ძალისმიერი სამჭიდი, ჭადრაკი და კიკბოქსინგი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 300,7 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 205 ათასი ლარი იყო.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები (2016 წელი): ფეხბურთი: სიღნაღის გუნდი, კახეთის 2016 წლის ჩემპიონატი – III ადგილი, კომპლექსური სასპორტო სკოლის ტურნირი „გაზაფხული 2016“ – I ადგილი; კალათბურთი – კახეთის ჩემპიონატი – II ადგილი; კიკბოქსინგი: პროფესიონალური ტურნირი – ექვსი I ადგილი, ოთხი II ადგილი, სამი III ადგილი, შავი ზღვის თასი – ხუთი I ადგილი, ოთხი II ადგილი, საერთაშორისო ტურნირი – შვიდი I ადგილი), თბილისის ღია პირველობა – ხუთი I , ორი II ადგილი,) ქვემო ქართლის ღია პირველობა – ოთხი I ადგილი, სამი II ადგილი; კიკბოქსინგი: პროფესიონალური ტურნირი – სამი I ადგილი, ერთი II ადგილი, საერთაშორისო ტურნირი – სამი I ადგილი, ორი II ადგილი, რესპუბლიკური ტურნირი – ოთხი I ადგილი, ორი III ადგილი, თბილისის მერიის თასის გათამაშება – სამი I ადგილი, ორი II მეორე ადგილი), კომპლექსური სასპორტო სკოლის საგაზაფხულო ტურნირი კიკბოქსინგში – გუნდური I ადგილი; ჭადრაკი – საქართველოს ჩემპიონატი 10 წლის ასაკის ბავშვთა შორის – I ადგილი, საქართველოს ჩემპიონატი 8 წლის ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის (ერთი I ადგილი, ერთი II ადგილი), საერთაშორისო ფესტივალი ნანა ალექსანდრიას თასზე – I ადგილი, საერთაშორისო ფესტივალი “ბათუმი 2016” – I ადგილი; ძალისმიერი სამჭიდი – საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში – I გუნდური ადგილი, მსოფლიო ჩემპიონატი – 2 მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, შოთა ბეჟაშვილის სახელობის ტურნირი – გუნდური I ადგილი.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, „მხიარული სტარტები“, რაიონული, ასევე რეგიონული დონის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტები. მათ შორის:

2016 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები: სიღნაღში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, ღირებულება – 10 ათასი ლარი; ქ. სიღნაღში სპორტული მოედნის მოწყობა, ღირებულება – 20 ათასი ლარი; ილიაწმინდაში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა, ღირებულება – 40 ათასი ლარი.

2017 წელს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში სპორტული მოედნების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე (სულ განხორციელდა 8 პროექტი) 264,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მინისტადიონები მოეწყო ქ. წნორში, სოფლებში:

ქვემო მაღარო, ტიბაანი, ძვ. ანაგა, ქვემო მაჩხაანი, ჯუგაანი, ნუკრიანი.

2017 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა ქ. წნორში, სოფ. ნუკრიანში (კალოები), ძველ ანაგასა და ქვემო მაჩხაანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა, სოფელ ქვემო ბოდბეში მოედნის რეაბილიტაციის პროექტი, საერთო ღირებულებით 176,7 ათასი ლარი.

2019 წელს გარე სპორტული ტრენაჟორები მოეწყო ქ. წნორში (7,6 ათასი ლარი).

2020 წელს სოფელ ბოდბისხევში აშენდა მინისპორტული მოედანი, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 103 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფელ ზემო მაღაროში მინისტადიონის მოწყობას კი, იმავე ფონდიდან, 89,1 ათასი ლარი მოხმარდა. სოფელ ვაქირში მოეწყო გარე სპორტული ტრენაჟორები (20 ათასი ლარი).

2021 წელს სოფელ ხირსაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობაზე რეგიონული განვითარების ფონდმა 94,1 ათასი ლარი დახარჯა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის, 2013-2016 წლებში, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 5 შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს (დაიხარჯა 33,2 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა 14,3 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისათვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (დაიხარჯა 1,8 ათასი ლარი).

2018-2020 წლებში, სამინისტროს ჩართულობით, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული; აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის".

ახალგაზრდული პოლიტიკა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სიღნაღის სკოლისგარეშე დაწესებულება – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა: მათ შორის მიმდინარე, 3-წლიანი პროექტი, რომელიც მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნასა და განხორციელებას, **„მოხალისეობის განვითარების პროგრამა"** (რეგიონის მასშტაბით 2-2 მონაწილე თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა – Civic Initiative – განახორციელა პროექტი: **„ცოდნის კაფე"** (დაიხარჯა 21,2 ათასი ლარი).

2020 წელს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ჩართულობით: ჩატარდა სიღნაღში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა, გადამზადდა სიღნაღის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი, სტრასბურგში გამართულ საერთაშორისო სემინარზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის 1-მა და სიღნაღში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის 1-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2024 წელს დაგეგმილია სიღნაღის გალავნის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- იგეგმება ახალგაზრდული საბჭოს კონცეფციის შემუშავება და შემდგომ ჩამოყალიბება;
- **შეიქმნება და დაინერგება სიღნაღის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები;** სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2021-2023 წლებში, ამოქმედდება მინიმუმ 6 ახალგაზრდული სივრცე; გადამზადდება მინიმუმ 2 ახალგაზრდული მუშაკი; სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ყოველწლიურად, ჩატარდება ახალგაზრდების საჭიროებების მცირე მოკვლევა და მათ საფუძველზე გატარდება შესაბამისი ღონისძიებები;
- დაგეგმილია სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და საჭიროებისამებრ აღჭურვა; ასევე, ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად, მათივე ჩართულობით, მრავალჯერადი და რეგულარული ღონისძიებების ორგანიზება;
- დაგეგმილია ახალგაზრდულ სივრცეებში სასწავლო კურსების ჩამოყალიბება, სადაც ახალგაზრდები შეიძენენ სხვადასხვა უნარებს (მაგ; უცხო ენა, კომპიუტეტული უნარები, პროგრამების წერა და ა.შ);
- იგეგმება ახალგაზრდული იდეების ყოველწლიური კონკურსის ჩატარება; ასევე, ონლაინ პლატფორმის ამოქმედება, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, განათავსონ ან მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მოეწყობა ხელოვნურსაფრიანი სპორტული მოედნები (400 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, **სიღნაღის მუნიციპალიტეტში,** მძიმე დანაშაულის (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში. კრიმინოგენური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 14 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 10, ანუ 71%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში ხშირი არ არის, მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება, ხოლო გასულ 2020 წელს, მხოლოდ ერთადერთი მსგავსი შემთხვევა, რომელიც ოპერატიულად გაიხსნა, აღირიცხა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების"** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წ.წ. სიღნაღის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებისგან განსხვავებით, სტაბილურია და წლების მიხედვით კლების ტენდენცია შეინიშნება;

სტატისტიკიდან ასევე ჩანს, რომ მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები საკმაოდ იშვიათია. 2017-2020 წ.წ.-ში სულ 3 ასეთი შემთხვევა იყო, ხოლო განმეორებითი დანაშაულის წლიური პროცენტული მაჩვენებელი პრობაციონერთა 1,3%-ს არ აღემატება. მისასალმებელია, რომ ბოლო ორ განვლილ წელს, 2019 და 2020 წლებში, პრობაციონერთა მიერ რეციდივის ჩადენის არცერთი ფაქტი არ აღრიცხულა, რაც მკაფიოდ მიანიშნებს მუნიციპალიტეტში სტაბილურ და მშვიდ კრიმინოგენურ მდგომარეობაზე.

2017-2020 წლებში, პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით ადგილზე დასაქმდა 2 მსჯავრდებული. საომმავლოდ სააგენტო გეგმავს, უფრო მეტ მსჯავრდებულს შეუწყოს აქტიურად ხელი ადგილზე დასაქმებაში; ასევე, მიუხედავად პანდემიის გამოწვევისა, მუნიციპალიტეტში განზრახულია პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების დანერგვა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

სიღნაღის საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი" ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის საზოგადოებრივი ცენტრი 2015 წლის 18 სექტემბერს გაიხსნა; მას 2018 წლის ნოემბრიდან დაემატა წნორის საზოგადოებრივი ცენტრიც.

ცხ. 1 სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017	2018	2019	2020
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	1	0	1	1
მათ შორის, გახსნილი	1	0	1	1
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	1	1	4	0
მათ შორის, გახსნილი	1	1	4	0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	3	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	1	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	1	1	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	3	2	8	1
მათ შორის გახსნილი	2	1	6	1

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა სიღნაღის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	162	156	146	139
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1 (0,6%)	2 (1,3%)	0	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	1	1	0	0

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

პატივი მაქვს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ვიყო, რაც უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ვაცნობიერებ, თუ რა ვალდებულება ეკისრება ქალაქის მერს; კარგად მაქვს გააზრებული, რა უნდა გაკეთდეს ჩვენი ხალხისა და მუნიციპალიტეტის წინსვლის, განვითარებისა თუ წარმატებისთვის.

ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი შრომა და ღირსებაა. ჩემთვის უმთავრესია ადამიანთა თანასწორობა, მორალი და სამართლიანობა. სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, თქვენი თანადგომის შემთხვევაში, ჩემს გუნდთან ერთად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ზრუნვის შესაძლებლობა მექნება.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში, მრავალი პროექტი განხორციელდა, თუმცა, წინსვლასთან ერთად, ახალი გამოწვევებიც ჩნდება, მათ დასაძლევად კი კონკრეტული გეგმები და ინიციატივები გვაქვს.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში აქტიურ ნაბიჯებს გადავდგამთ ტურიზმის ინდუსტრიის, მათ შორის აგროტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის; განვაგრძობთ მრავალწლიანი კულტურების შემდგომი გაშენების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების, სათბურების, თევზსაშენი მეურნეობების მოწყობისა და მეცხოველეობის განვითარების მხარდაჭერას; დავასრულებთ უწყვეტი წყალმომარაგების პროექტს და ა.შ.

გვინდა, შევქმნათ ისეთი სიღნაღი, სადაც ყველა ახალგაზრდა შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას, სადაც მომავალი თაობა თავად მოუვლის საყვარელ ქალაქს, სადაც ხანდაზმული ადამიანების ყოველდღიურობა ნაკლებ სირთულესთან იქნება დაკავშირებული.

ჩვენ ერთად შევძლებთ ჩვენი ქვეყნის განვითარებას! ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.